PX 4871/1 · n31/8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინოვაციების და განვითარების ფონდი

დამატებითი ინფორმაციის
მისაღებად დაგვიკავშირდით:

ტელ. 032 2422 511
E-mail: info@idf.ge
აპლიკაციკაციის შესავსებად შედით
www.idf.ge
პროექტი „სახელმწიფო 3.0“

# სახელმწიფო 3.0 – რეფორმების ახალი ტალღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი „სახელმწიფო 3.0: რეფორმების ახალი ტალღა“, მიზნად ისახავს შექმნას მექანიზმები, რომლებიც ფოკუსირებული იქნება კონკრეტული პრობლემების ინოვაციურ გადაწყვეტაზე და ხელს შეუწყობს საინიციატივო ჯგუფების ფორმირებას.

დღეს ჩვენი საზოგადოების გამოწვევების საპასუხოდ საჭიროა ახალი და მძლავრი რეფორმები. რეფორმები, რომლებიც ტენდენციების გათვალისწინებითა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით ახალ შესაძლებლობებს მისცემს, როგორც საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე, მთელს საზოგადოებას.

პროექტის ფარგლებში ათასობით მონაწილე იმუშავებს 12 თვითმმართველ ქალაქში და ხუთი კონკრეტული მიმართულებით. ყველა მსურველს ექნება საშუალება მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ქალაქის, ჯანდაცვის, განათლების, სამართალდამცავი სისტემის, ეკონომიკის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში, რომელთა განხორციელება სწორედ მათზე იქნება დამოკიდებული.

## პროექტის მიმდინარეობა

- განცხადების მიღება - 8 - 30 ნოემბერი 2014
- გასაუბრება - 1 - 8 დეკემბერი 2014

## პროგრამის მონაწილე

ნებისმიერ დაინტერესებული პირი 16 წლიდან, რომელიც წარმატებით გადალახავს საკონკურსო წინაპირობებს.

## მონაწილეთა სასურველი კომპეტენციები

- ეფექტური ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარები;
- საბაზისო სააზროვნო უნარები;
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- თვითორგანიზებულობის უნარი;
- თვითგანვითარების უნარი;
- ჯგუფური მუშაობის და თანამშრომლობის უნარი;
- გუნდში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაცნობიერების უნარი;
- სიახლეების მიღების უნარი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საბაზისო უნარები.

## პროგრამაში მონაწილეობის შედეგად:

ახალგაზრდებს საშუალება მიეცემა განივითარონ XXI-ე საუკუნისათვის აქტუალური უნარები. მიღებული გამოცდილება მონაწილეებს დაეხმარება კარიერულ წინსვლაში და საკუთარი შესაძლებლობების ეფექტურ გამოყენებაში. პროგრამა აგებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა (Problem Based Learning - PBL), ქრაუდსორსინგის (Crowdsoursing) და ინოვაციური მართვის მეთოდებზე.

## შეთანხმება მონაწილეებთან

პროექტის მონაწილე იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში შეასრულებს შემდეგ ვალდებულებებს:

- ჯგუფურ დისკუსიებსა და პრეზენტაციებში მონაწილეობა;
- ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაოების შესრულება;
- პროექტისთვის საჭირო დროისა და ენერგიის დათმობა.

## სერტიფიცირება

პროექტის დასრულების შემდეგ თითოეულ მონაწილეს გადაეცემა სერთიფიკატი პროექტით გათვალისწინებული აქტივობების მინიმუმ 80%-ის შესრულების შემთხვევაში.